№ 43 — 1916
კვირა, 23 ღვინობის.

წელ. მეოთხე გამოცემისა | ფასი 12 კ.

სომეხთა მსახიობნი

პ. ადამიანი როლებში

(გარდ. 25 წ. შესრულების გამო)

მეფე ლირი ჰამლეტი

სირანუიშ

სომეხთა ცნობილი მსახიობქალი, ჰამლეტის როლის აღმასრულებელი.

შინაარსი:

1, იოსებ არიმათიელი — მეზობლის შორის 2
2, ს. ივ. გომართელი — კრება 3
3, გ. ქურიშვილი — დევნილი. 5
4, შალვა დადიანი — დუზე (დასასრული) „
5, მარიჯან — მტერ მოყვარეს 7
6, სილოვანი — ომის ნახარზე 8
7, გ. ლეონიძე — თვალები 9
8, კ. ძიძაძე — განცდა . . . . „
9, მ. მოლაშვილი — შემოდგომა . . . . . „
10, მ. ჯანაშვილი — დევან ბატონიშვილი 10
11, ნ. ელიაშვილი — იძულებულნი . . 11
12, ჯაფარ-რაჭველი — კახეთი 13
13, სახიობა წვრილი ამბები, სურათები.

მორიგი მეთაური

„ჯერ თავო და თავო“

ვედარ იბეჭდება.

მეზობელთა შორის

პ. ადამიანი და ს. სპანდარიანი

გასულ კვირას ჩვენმა მეზობლებმა — სომხებმა ორი ადამიანის ხსოვნას სცეს პატივი.

ერთია პეტროს ადამიანი, ს სცენო ხელოვნების სახელგანთქმული ქურუმი და სომეხთა თეატრის შუქურვარსკვლავი, რომელიც ჯერ კიდევ შედარებით ახალგაზრდა გარდაიცვალა 1891 წ., 42 წლისა.

იგი ოსმალელი სომეხი იყო, სამშობლო ენაზე აღზრდილი და ევროპიულად განათლებული. თბილისში გამოჩნდა 80-იან წლებში; შემდეგ რუსეთის მთავარი ქალაქები მოიარა და ჰამლეტის, მეფე ლირის, ოტელოს, კორრადოს და სხ. განსახიერებით აღფრთოვანებული ყურადღება და პატივისცემა დაიმსახურა, ვითარცა უნიჭიერესმა მსახიობ-ხელოვანმა.

სომეხთა შორის კლასიკური რეპერტუარის დამკვიდრებას და სომხურ ეროვნულ თეატრის აღორძინებას მან მკვიდრი საფუძველი დაუდო; ამიტომ სომხის ერიც მუდამ მადლობით იხსენიებს მელპომენის ამ სწორუპოვარ ქურუმს.

ამბობენ, ერთმა სომეხმა აკაკის უთხრაო:

— აბა, ჩვენი ადამიანი ნახეთ და მაშინ მიხვდებით, ვინა ვართო!

— რა ძაან იკვეხი, შვილოსა, ბევრი, ბევრი ეგ ერთი ადამიანი გყავთო, რაღა!

მიუგოვო მგოსანმა.

არ ვიცი, ეს დიალოგი მართალია თუ არა, მაგრამ ის კი ცხადია, რომ სომეხთა სცენისათვის, განსაკუთრებით კლასიკურ რეპერტუარში, ეს ერთი ადამიანი იყო, ყოველმხრივ სრული არტისტი .. მისი ადგილი ჯერ კიდევ ცარიელია...

ვუსურვებთ, სომეხთა მელპომენეს თავის სახელოვან ქურუმის პეტროს ადამიანის გარდაცვალების 25 წლის თავზე მაინც ღირსებოდეს მისი ღირსეული მოადგილე.

მეორე ადამიანი, რომლის ხსოვნასაც პატივი სცა არა მხოლოდ სომეხთა საზოგადოებამ, განსაკუთრებით დემოკრატიამ, არამედ ქართველმა დემოკრატიამაც, არის სურენ სპანდარიანი, ახალგაზრდა პუბლიცისტი და სომეხთა დემოკრატიის ერთი პირველი მუშაკთაგანი.

სურენ სპანდარიანი სტუდენტობაშივე მიეკედლა რუსეთის მოწინავე დემოკრატიას და მუდამ ღირსეულად იცავდა მშრომელი ხალხის ინტერესებს...

... ბედმან მეტეხის ციხეში შემახვედრა იგი. სუსტი აგებულებისა, განვითარებული, დაკვირვებული მსჯელი, დემოკრატიულ პრინციპთა მტკიცე დამცველი, მწარე ხვედრის გუდამ წარბ-შეუხრელად ამტანი,—აი, როგორი იყო სურენი.

სასტიკი სასჯელის მოლოდინი დამოკლეოსის მახვილივით გქონდეს ზევიდან დაღერილი და მაინც შენს რწმენას მტკიცედ იცავდე,—განა რომ გმირობაა. .

და ასეთი იყო სურენიც, როგორც არა ერთი და ორი მისებრ დევნილ-დასჯილი ქართველი.

მაგრამ იგი მხოლოდ მარჯვენიდან არ იყო დევნილი,—თანამემამულეთა დიდი უმრავლესობაც ალმაცერად უყურებდა მისს დემოკრატიულ მიმართულებას...

ეს ტანჯულ-წამებული ადამიანი გასამართლების შემდეგ ციმბირს გაგზავნეს, ვგონებ 1912 წ., სადაც ამ ორიოდე კვირის წინად გარდაიცვალა და იქვე მიწას მიაბარეს.

ს სპანდარიანის სიკვდილით სომეხთა ისედაც მცირე რიცხოვან დემოკრატიას თვალსაჩინო ძალა გამოეცალა...

მაგრამ მისი ნაკვალევი მაინც წარუხოცელი დარჩება ყველა იმის ხსოვნაში, ვინც ხალხის წინსვლას გულწრფელად ემსახურება...

უკვდავიმც იყოს ხსენება შენი, საუკეთესო იდეალებისთვის უთანასწორო ბრძოლაში დაცემულო, ხალხის გაზაფხულის ერთო პირველო მერცხალთაგანო, სურენ!..

იოსებ არიმათიელი

კრება

— ამხანაგებო, კრება შეწყვეტილია თხუთმეტი წამით! წარმოსთქვა კრების თავმჯდომარე მაქსიმემ, წამოდგა ზეზე და პაპიროსს და უწყო წევა.

შეკრებილებიც წამოიშალენ და ჯგუფ ჯგუფათ დაიწყეს ცალ-ცალკე მუსაიფი. აქაიქ ცხარე კამათი გაიმართა.

— ამისთანა მოქმედების ერთად ერთი სახელი პრავაკაციაა! ცხაროობდა ერთი.

— ჩვენც რომ მათსავით დემაგოგიას მივმართოთ, ჩვენს ჭეშმარიტ გზას გადავცდებით და იმათაც ეს უნდათ! ჰყვიროდა მეორე.

— რას დაფიქრებულხარ, ამხანაგო პეტრე? წარმოსთქვა მაქსიმემ და მხარზე ხელი დაჰკრა ერთ ყმაწვილს, რომელიც ჩაფიქრებული გაჩერებულიყო ფანჯარასთან.

პეტრე ცოტა შეკრთა და ფიქრისაგან გამოერკვა

— საფიქრებელი ბევრია, ჩემო მაქსიმე! წარმოსთქვა მან.

— მაინც? დინჯად დაეკითხა მაქსიმე და თუთუნის ბოლი ხარბათ გამოუშვა ცხვირის ნესტოებიდან.

გარეშემო თავი მოიყარეს სხვებმაც.

— გზა ჯერ დიდია გასავლელი, მიზანი შორს ბურუსში გამოსჭვივს, უკან მსხვერპლის მეტი არაფერია დაწინ კიდევ ვინ იცის, რამდენი მსხვერპლი დაგვჭირდება. აი, თუნდა მარტო ეს ფიქრათ არა კმარა? წარმოსთქვა პეტრემ.

მაქსიმე ერთ ხანს თვალებში შეჩერებოდა პეტრეს.

— ამხანაგო! შენი სიტყვები მაკვირვებს.- წარმოსთქვა მან ბოლოს: მაგ სიტყვებში შიშია გახვეული. შიში-კი ეს-ერს არ შეშვენის. ჩვენ ყველას დავიწყებული უნდა გვქონდეს ჩვენი თავი, ჩვენი სიცოცხლე. რა არის სიკვდილი? არაფერი! სიკვდილისა მხოლოდ ბურჟუებს ეშინიათ. ჩვენს გულში კი შიშს ალაგი არ უნდა ჰქონდეს, დღეს მოვკვდებით, ერთი თვის, ერთი წლის, თუ ათი წლის შემდეგ, ჩვენთვის ეს სულ ერთია. ამგვარი კითხვა ჩვენთვის არ არსებობს. სიცოცხლის გახანგრძლივებაზე ზრუნვა ბურჟუების საქმეა; ჩვენი ერთად-ერთი საქმე და საზრუნავი ჩვენი მიზნის განხორციელებაა.—დაამბოლოვა მაქსიმემ.

— რა დროს შიში და ყოყმანია, ამხანაგო? ვისთვისაც სიცოცხლე ტკბილია, ვისაც სიკვდილისა ეშინია, მას ჩვენს წრეში ალაგი არა აქვს.—წარმოსთქვა ივანემ

— ამხანაგო პეტრე! როგორ წამოგცდა მაგისთანა აზრი? შიში რა პასუხია! თუ კი მსხვერპლათ შეეწირებით ჩვენს იდეალს, ეს უმაღლესი ბედნიერებაა ჩემის აზრით! წარმოსთქვა ხელების ქნევით ლიზამ.

— ასე არ არის, ამხანაგო მაქსიმე? დაამბოლოვა მან და მაქსიმეს მიაპყრო თვალები.

— რასაკვირველია, ამხანაგო ლიზა! დაეთანხმა მაქსიმე.

— ამხანაგებო! ვერც ამხანაგმა მაქსიმემ, ვერც სხვამ ჩემი სიტყვები ვერ გაიგო; და არა თუ ვერ გაიგო, დაამახინჯა კიდეც, დაიწყო პეტრემ.

მაქსიმე ცოტა სახეზე წამოწითლდა და მარცხენა ულვაშზე ხელი გადისვა; ასე იცოდა მან, როცა ეწყინებოდა რამე.

— რა სისულელეს როშავს! ისეთს რაზ იტყოდა, რომ ამხანაგ მაქსიმეს ვერ გაეგო! იფიქრა ივანემ.

ალბათ სხვებმაც ბევრმა იფიქრა ასე, რადგანაც მაქსიმეს ავტორიტეტი ძალიან დიდი იყო ამხანაგებში.

— ჰმ! დაცინვით გაიღიმა ლიზა, თითქოს უნდოდა, ეთქვა: ვინ რას იტყვის განა ისეთს, რისი გაგებაც მაქსიმეს გაუძნელდესაო.

— მე შიშზე კრინტიც არ დაშიძრავს, განაგრძო პეტრემ; ბევრი კარგი ამხანაგი დავკარგეთ, შევსწირეთ ჩვენს საქმეს და იმათი მოგონება მაღონებს.

— ამხანაგო პეტრე! გააწყვეტია მაქსიმემ და ყველა სმენათ გადაიქცა: შენი სიტყვები მიმტკიცებენ, რომ შენში რაღაც ცვლილება ხდება. ზოგი ადრე შეეწირებით ჩვენს საქმეს, ზოგი გვიან. თავის მკვიდრებს ბურჟუები დასტირიან, მათს საფლავზე ისინი აქცევენ ცრემლებს. ჩვენ კი არც კი უნდა მივაქციოთ არავითარი ყურადღება, როცა ჩვენს

გარშემო ამხანაგები ცვივიან, ზედ უნდა გადავიაროთ თვალის დაუხამხამებლათ მთის ცხელ დარზე და გავეშუროთ ჩვენი მიზნისაკენ.

— მე მხოლოდ ასე მესმის ჩვენი მოქმედება და ჩვენი მოწოდება! ჩაურთო ლიზამ სიტყვა: პირველათ მესმის, რომ ამისთანა საქმის გაკეთება უმსხვერპლოთ შეიძლებოდეს.

საზ- გადოთ ლიზას უყვარდა თავისი აზრის წარმოთქმა მაქსიმეს სიტყვ ს შემდეგ, რომ ამით სხვებისათვის დაენახვებია: აი, ჰხედავთ, ჩემი აზრი მაქსიმეს აზრს სრულებით ეთანხმებაო

— დიდი საქმე მსხვერპლსაც დიდს ითხოვს, ეს თავიდანვე უნდა გცოდნოდა ამხანაგო პეტრე! წარმოსთქვა თომამ.

— მსხვერპლი ჩვენ კი არ უნდ გვაღონებდეს, უნდა გვამხნევებდეს! თავმოიმწონეთ ‍ ‍ ‍

გრამ ნამეტანი სიჩქარით ერთმანერთს ადარ აცლიდენ და შუშები სულ დალეწეს.

საერთო შიშმა პეტრეც დაიმორჩილა; ამანაც დააპირა გაქცევა, მაგრამ გზა არსაით იყო: ყველა ფანჯარებს ესია და ვეღარსად გაძვრა.

ყოველივე ისე სწრაფად მოხდა, რომ პეტრე ჯერ გონს ვერ მოსულიყო, ვერ გამოერკვია ვერაფერი.

— ნუ თუ სახლში სრულებით არავინ არ არის? მოისმა ამ დროს გარედან ხმა.

— ვინ არის? სრულებით დაუფიქრებლათ გასცა პეტრემ პასუხი.

— პალკოვნიკი მასლოვი აქა დგას? გაისმა გარედან.

პეტრე კარებთან მივიდა, გამოაღო. წინ თოფიანი ჯარის კაცი დახვდა, ხელში დიდი კონვერტი ეკავა.

— ვინ გინდათ? დაეკითხა პეტრე.

— პალკოვნიკი მასლოვი აქა დგას?

— არა.

— პაკეთი მქონდა გადასაცემი და ვერ მივაგენი.

პეტრემ გამოართვა კონვერტი, სინათლეს მიუშვირა და ზედ წარწერას კითხვა დაუწყო.

— პოლკოვნიკი მასლოვი აი აქეთ იქნება, მეორე სახლში. კონვერტზე ოცდა ექვსი აწერია სახლის ნომერი; ამ სახლის ნომერი კი ოცდა ოთხია.

— მადლობელი ვარ, რამდენი ხანია ვეძებ და ვერ მივაგენი.

გამოართვა ჯარის კაცმა კონვერტი და გაბრუნდა.

დევნილი

მშვიდობით მზიურ სამშობლოს ველნო,
ორბ-არწივების ციცაბო კლდენო,
მთანო მაღალნო, წარბ-შეუხრელნო,
ბროლის ჩანჩქერნო და მდინარენო...
ვინ იცის, ეგებ ცივ ციმბირამდე
ველარც მე ვზიდო ეს ბორკილები
და უცხოეთის ჟინჟღლიან ცის ქვეშ
ლპებოდეს ჩემი ნათრევი ძვლები...

გ. ქუჩიშვილი

დუზე

(გაგრძელება იხ. „თ და ც“ № 42)

—

დუზეს საყვარელი როლები: მარგარიტა გოტიე, ადრიენა ლეკუვრერი, ჯულიეტა, კლეოპატრა, სილვია (ჯიოკონდაში), რებეკა (როსმერსჰოლმში), გედა გაბლერი, მაგდა (მშობლიურ ჭერ ქვეშ), ნორა.

მთელი ეს დიდძალი ხატებანი ქალთა სხვა და სხვა ტიპების, ერთ მთავარ სულიერ დასაბამს ემორჩილება: ყველა ეს ქალები თავიანთ ცხოვრების ბირობებში დიდათ უბედურნი არიან და ყველანი მხოლოდ სიკვდილით ცხოვრებასთან სრულს ჩამოშორებაში პოულობენ დამშვიდებასა. მაგდა და ნორა მართალია არა კვდებიან, მაგრამ სულ ერთია, წინანდელ ცხოვრებასთან სრულიად და გამოუბრუნებლივ სწყვეტენ ყოველსავე კავშირს. წინანდელ ცხოვრებისათვის ისინი მკვდრებად ჩაითვლებიან.

აი, ასეთ სულიერ დასაბამთან აქვს ნათესაური კავშირი თვით არტისტ ქალს, თვით მისი სულიერი მოძრაობა და განცდა შეესაბამება მას.

ახლა თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ელეონორა დუზე, როდესაც მის საყვარელ როლებს ინსახიერებდა, უმთავრეს თავის ნიჭის ძალას სიკვდილის მახლობელ მომენტებში იჩენდა, თუ ამას გავიხსენებთ, მაშინ დუზეს მთელი სულიერი საიდუმლოება ჩვენთვის ახსნილი იქმნება, უდიდესი სულიერი საიდუმლო უდიდეს მსახიობი ქალისა.

ოდესღაც, სადღაც ახალგაზდობის უაღრეს ხანაში ელეონორა დუზეს ნაზი და მხატვრული ორგანიზაცია შეეხო სულიერ ისეთ უფსკრულთა ამხსნელ და განმმარტებელ მოვლენებს, რომელთა განკვრეტა არ ძალუძთ ჩვეულებრივ ადამიანებს. არტისტი ქალი სულიერად ეზიარა ისეთ საიდუმლო მოვლენას რომელიც სულ სხვა ცხოვრების საზღვარზე სძევს, თვით სიკვდილის კარიბჭესთან. და როგორც კი ეს მოხდა, როგორც კი მხატვრის მახვილმა გრძნობამ განიცადა ამ სხვა ცხოვრების მაჯის ცემა, მყისვე არტისტი ქალი ამხედრდა ჩვეულებრივი ცხოვრების ყვე-

ლა პირობების წინააღმდეგ. ეს პირობები მას აღარ აკმაყოფილებდა; მას ეს პირობები ღლიდნენ და სტანჯავდნენ, აწამებდნენ. ამ წამებისაგან კი თავ-შესაფარს ის სცენაზე ეძიებდა. იქ კი ადამიანთა წინაშე თვის უდიდეს ტანჯვათ გადმოშლიდა და ამითი იმსუბუქებდა თვის ხვედრს, ისე როგორც ცრემლებით მწუხარებას იქარვებენ.

ხოლო, როდესაც ფიზიკურად სცენაზე დაიღლებოდა, მაშინ მეორე თავ შესაფარისკენ მიექანებოდა. იქ, ვენეციაში, თვის „პაწია თავ-შესაფარში.“

ეს „პაწია თავ-შესაფარი“ ძველ შენობაში, სახურავ-ქვეშ, რომელსაც „დიდი, დიდი ფანჯარა აქვს“ და თავ-შესაფარი სცენისა— ეს სულ სხვა და სხვა თავ-შესაფარია. ამ ორ თავ-შესაფარ შუა იფრთქიალებს დუზეს დაუდგრომელი, შეამბოხე სული.

აი, რა არის საიდუმლო უდიდეს მსახიობ ქალისა.

—

ელეონორა დუზეს აღტაცებული თაყვანის მცემლები, როდესაც მის მიერ ასრულებულ როლებზე სწერდნენ, დიდ ყურადღებას აქცევდნენ იმას, თუ რომელიმე ფრაზა როგორის ძლიერებით ქონდა მსახიობ ქალს წარმოთქმული და ამაში ეგონათ კიდეც მთავარი ძალაც მისი არტისტიულ ჭენიოსობისა. დუზე-მარგარიტას შეყვირება, Armando! Armando!“ ეს შედეგრად მიაჩნდათ.

შეიძლება ისინი მართლაც გრძნობდენ არტისტი ქალის გადმოცემის სილამაზესა და მომხიბლაობას, მაგრამ უმთავრესი კი მაინც არ იცოდნენ, თუ რაში იყო ძალა ამ სილამაზისა.

დიდხანია საჭიროა საზოგადო წესათ აღვიაროთ, რომ უნიჭო არტისტები უწინარეს ყოვლის როლისათვის ტანისამოზე ფიქრობენ, ნიჭიერები მონოლოგსა და რეპლიკებს უკვირდებიან, ჭენიოსები კი—პაუზებს.

მთელი ძალა, სილამაზე და მომხიბლაობა დუზესი პაუზებში იყო. სახ-ს საკვირველი მიმიკა და ღრმა თვალები არტისტი—ქალისა ბევრათ მეტს ამბობდნენ, ვიდრე მონოლოგები და რეპლიკები.

როდესაც არმანდო (იგივე არმან) მომაკვდავ მარგარიტას ფერხთან სდგას, დუზე— მარგარიტა მის თავ-ზემო იყურება. არმანდოს სრულიადაც არ უყურებს. მაგრამ მის თვალებში დგას სხვა, წინანდელი მისი საყვარელი არმანდო და სრულად გაუტაცნია ამ სახის ცქერას. ეს კი ისეთი შინაგანი, ნერვიულ ძლიერებით არი განცდილი არტისტი ქალის მიერ, რომ საზოგადოება ნათლად და მწვავეთ, თითქო ჰიპნოზ ქვეშ, გრძნობს ყოველივეს, რაც ხდება მომაკვდავ მარგარიტას სულში,

—

დუზეს უსაყვედურებდნენ, რომ როლებს ხშირად ამოკლებს, რეპლიკებს და მონოლოგებს სრულად გამოტოვებს ხოლმეო.

მართალია, ძლიერ ამოკლებდა ადრიანა ლეკუვრერის როლს, მარგარიტა გოტიეს, ნორას, მაგრამ დუზეს ეს არ ესაყვედურება და აი რატომ.

საზოგადოთ დრამატიული ნაწარმოები იწერება ნიჭიერ მსახიობთათვის და არა ჭენიოსთათვის. ის, რაც ნიჭიერს მსახიობს სიტყვით შეუძლიან გადმოსცეს, ჭენიოს შეუძლიან საზოგადოებას შთააგონოს, ანუ აუხსნას სრულიად უსიტყვოთ. იმათთვის ზოგჯერ სიტყვა შეიძლება მეტად ტლანქი იარაღიც იყოს.

აი, თურმე როგორ იქცეოდა დუზე „ნორას“ უკანასკნელ მოქმედებაში.

ნორას უკანასკნელი დიდი მონოლოგი სრულიად გამოტოვებული ჰქონდა. ეს ის მონოლოგი, რომელშიაც თითქო მთელი პიესის დედა-აზრია მოთავსებული, საცა ნორა ქალთა უფლების იდეას იცავს. ეს თითქო გასაკვირია, მაგრამ როდესაც დუზეს უყურებთ, მაშინ კი აღარ გაგიკვირდებათ თურმე. ეს ტიკინა, ბავშვი ნორა თქვენ თვალწინ ისე რეალურად ხდება დუზეს მიერ მომწიფებულ ადამიანად, ისე ძლიერად, ისეთს გამოეტყველებით, რომ მაყურებელს სიტყვები აღარ სჭირდება. მან უსიტყვოთაც ყოველივე იგრძნო და განიცადა. ყოველივე ეს კი ხდება ისევ და ისევ მისი სახის მიმიკის და გამომეტყველ თვალების საშუალებით. თქვენ ესე-

თი გადმოცემით მიუხვდებით ნორას და მაშასადამე მიხვდებით სიწვრილმანეს ნორას ქმრის ცხოვრებისას.

მონოლოგი რადა საჭიროა. პირიქით სიტყვებს შეეძლო შთაბეჭდილება შეეესუსტებინა, სიყალბე გეგრძნოთ. ისეთი ნორა, როგორსაც დუზე იძლევა, ბევრს ლაპარაკს არ გაუმართავს ქმარს, მას არა სცალიან ლექციის წასაკითხად.

ცხოვრების წვრილმანობით მოქანცული დუზე უსიტყვოთ, უმონოლოგოთ მიდიოდა თავშესაფარში. ასე უნდა მოიქცეს, ასე იქცეოდა კიდეც მისი ნორა.

—

დუზეს თვის სიმდიდრედ ის მიაჩნია, რომ სიმდიდრეს არ ეძიებს.

მისი ტალანტის უდიდესი ძალა კი ის არის, რომ სცენაზე წარმატებას არ ეძიებს და არც არასოდეს არავითარ ეფექტს არ მისდევს. ის მხოლოდ ცხოვრობს სცენაზე, მხოლოდ განიცდის ძის სულიერ ტანჯვას და ამ საიდუმლოს გადმოშლის ჩვენს წინაშე.

მთელი თავისი ცხოვრებით, მთელი მისი არტისტიულ ჰენიოსობის ელვარებით, რომელიც ეგრეევე მშვენიერია, როგორც ლამაზი და საიდუმლო ლეგენდა, დუზემ ქვეყანას განუხორციელა გულის ადმძვრელი და მომხიბლველი რამ ზღაპარი.

მთელი მისი ცხოვრება ისეთი იყო თითქო იგი ლეგენდასა ქმნიდა. ხოლო ეს ლეგენდა იყო ისეთივე საიდუმლოებით მოცული, როგორც სასახლეები ვენეციაში და ისეთივე მომხიბვლელი, როგორც ზღვა და ზეცა იტალიისა.

მტერ-მოყვარეს

რად შეგშურდა, მორიელო, ალ-ფირუზის ნაზი ლილა?
რად სცდილობდი მწარე ენით:—ჩვენი გრძნობა გაეგრილა?
რად გინდოდა ჩემ ხელიდან წაგეგლიჯა ვარდ-ლილილა,
რომელზედაც ჯერ ზეციდან ბროლის ნამი არ დაღვრილა?
შენ ზურგს უკან ორმოს გვითხრი, და პირში კი მეფლიდები,
რომ იცოდე რა რიგ მძულხარ, რა საშინლად მეჯავრები!!
მე რომ ვიყო მოქანდაკე, ან მხატვარი ნიჭიერი,
გველაშაპათ დაგსახავდი, რომ არ გქონდეს ღვთის იერი!
რომ შემეძლოს მაგ სახისა მე ტილოზე გადატანა,
გეფიცები, ვერ გაჯობებს ჯოჯოხეთის თვით სატანა!
გარს გევლება გველ-ბაყაყი, ჭია-ღუა, მორიელი,
ვარდის ნაცვლათ შენ ა გულზე გადამხმარა ტყის იელი!
შენ სხვის გულთა ჰკორტნი, ჰქექავ,—ეი შენი სარბიელი,
ჭორიკანობ, შეღლსა სთესავ და ნაყოფსაც გამოელი.
რათა სცდილობ გამომტაცო ამ სიცოცხლის ვერცხლის ძაფი,
რათ გინდა რო გადაასხა ჩემ სახესა შხამ-თეზაფი?
არად ვაგდებ შენს ძნელ ზრახვას, შენს გესლიან შურსა და მტრობას
მე ისედაც ღღე მოკლე ვარ და არც ვეტრფი არსებობას,
ვიცი: ვიწვი ნელი ცეცხლით და მეთვლება ყარიბს ღღენი,
მაგრამ გწამდეს ჩემზე უმალ მოისპობა ყოფნა შენი...
ამაოა! მის შეგობრად არასოდეს არ იქნები,
სიყვარულის მაგივრათა, ზიზღსაც კი არ ელირსები...

განჯა 1916 წ.

მარიჯან

ომის ნაოხარზე

სოფელ-სოფელ მივდიოდი, ფიქრით დატვირთული...
გულს ცხოვრების შემომაწვა ამოცანა რთული;
„ნეტა როდის დასრულდება ხალხის გასაჭირი?
ნეტა როდის განელდება ვაება და ჭირი?“...
გავიხედე—დავინახე ძაძიანი დედა:
ბედკრულს გულსა მოწოლოდა შავი, მძიმე სევდა...
შვილს ტიროდა, ომში მოკლულს, კვადრსა ვერნახულსა,
უცხო ქვეყნის უცნობ ადგილს დაფლულს-დამარხულსა...

**

გერ გაეუძელ დედის ცრემლებს,—გული ამატკინა...
მოუჩქარე სიარულსა, გავეშურე წინა...
კიდევ ქალი... კიდევ დედა, ძაძით შემოსილი!..
ქოხთან იჯდა, გარს ეხვია ოთხი ნორჩი შვილი.
„ნენა მშია, მაპამეო“,—ბაწია ტიროდა;—
ნენა, სასოწარკვეთილი, იჯდა, არ იძროდა...
ვიკითხე-და მითხრეს: „ქმარი ომში მოუკლესო—
და, ღატაკსა, ჭირი მატეს, ორთუ მოუკლესო!..
უპატრონოთ დარჩა დედა, დარჩენ ობლებიო |
და ხანდახან ჭადსა ვაწვდით ჩვენ, მეზობლებიო...
და ჩვენც რაღა გაგვაჩნია, ჩვენც მშიერი ვართო:
ვეკაცები სულ წაგვართვეს, ბებრები ვყრივართო...
ხედავ აგერ ტიტველ მიწებს?—ველარ მოვხანითო—
და ოჯახებს ველარ გავწვდით სარჩოს მოყვანითო“...

**

ხალხის ვარმით დავიქანცე, სევდით გავიწურე...
გავეშურე სამარტოოთ, ტყისკენ გავეშურე.
ვით მარადის—გრილი, ტკბილი, ნაზი, მშვენიერი—
ტყე დამიხვდა გაფურჩქვნილი, მშვიდი, ბედნიერი!..
გავიხედე—დავინახე თოვლიანი მთები:
მზეს-დედოფალს გაეშალა მათზე ოქროს თმები!..
ვითა სატრფო ეხვეოდა, ეთამაშებოდა,—
მის ალერსით მთა თბევბოდა, გულზე ეშვებოდა!..
გამინელდა მწარე სევდა მხიბლავ ბუნებაში,—
შევადარე ხალხთ სიმწარე და ვსთქვი გუნებაში:
„რა კარგია ბუნებისა ზეიმი და ლხინი,
რა კარგია სიცოცხლე, რომ არ სწამლავდეს ჭინი!..
ოხ, არ მინდა იქ ცხოვრება, სადაც სისხლის ღვრაა,
სადაც ჭმუნვის, მწუხარების, სადაც ცრემლის ზღვაა...
აქ დავრჩები: ტყეში მხეცი უფრო მამასვენებს,
ადამიანთ სისხლის წყურვილს ის არ გამახსენებს“...

**

მსახიობი ვ. გამყრელიძე
ნაძალადევის სცენის მოყვარეთა წრის რეჟი'ორად მიწვეული.

მაგრამ მალე მზე ჩავიდა, მალე ჩამობნელდა—
და, როს ვიგრძენ მარტოთ ყოფნა, მეტათ გამიძნელდა...
უნებლიეთ სოფლისაკენ ვქენი ისევ პირი,
სადაც მრავლათ მეგულვოდა ტანჯულ-ანატირი...
ისევ ხალხსა დავუბრუნდი, ველარ დავრჩი გარეთ,—
ისევ ლხინის მეოცნებეთ, ჭირის მოზიარეთ...

სალვანი.

თვალები

მე წუხელის უდაბნოში მთვარის ღიმილს ვეზიარე,
მეტყოდიან ცეკვით სხივნი: შევიხედეთ აკლდამაში
და რასა ჰგავს ეს ამბავი, სასჯელია თუ თამაში?—
გვახსოვს ერთხელ იცინოდენ ეგ თვალები მგზებიარე.
ვით მხედარნი ისაროობდნენ, ცეცხლს აგზნებდენ, ხან აქროობდენ
ხან ყვავილთა გადაშლისას, მხიარულად, საუბრობდენ!.
ვინ ეტყოდეს წუთს—შეჩერდი! ვინ აბრუნებს განვლილ წამებს.
ჩამოღამდა... ბინდის ქსელი ჩაეხვია შავს წამწამებს...
სძინავთ დაღლილ კარისკაცებს, როგორც ფოთოლს შარა გზაზე,
აღარ ახსოვთ თიბათვის მზე და ყვავილთა სილამაზე-..
— ჰოი, სხივო დათოვლილო, თინათინობ ერთის წამით,
დღისით ისევ დაბნელდები, რო გაბრწყინდე შუაღამით...
ეგ თვალებიც დახუჭვილნი არ შესწყვეტენ ამოჟღერას,
უხილავის ქვეყანაში, მისწვდომიან ნათელ მზერას,
იქ მეფურად სხივოსნობენ, შეედრება იმათ მზე რას?.—
ესრედ უთქვამს შავს წიგნებზე ამოწერილ ბედისწერას!..

გ. ლეონიძე

განცდა

ღამე იყო... ბნელ ქუჩებში მარტოდ მარტო დავდიოდი
და ჩემ სულის მწუხარებას ქარის სისინს შევჩიოდი ..
ვიგონებდი სიყმაწვილეს, როს არაფერს არა ვგრძნობდი,
როს ცხოვრების სინამდვილეს ჯერ სრულებით არ ვიცნობდი...
ყველა სდუმდა მხოლოდ ქარი მოუსვენრად ჰკვნესდა., ჰქროდა...
და რაღაც ხმა იდუმალი ჩუმად ყურში ჩამძახოდა:
„ნუ, ნუ სჩივი, ცოდვის შვილო... ასეთია სოფლის ნება;
ტანჯვით განსჩდი, ტანჯვაშივე ბედკრულს ბოლო მოგეღება!..“

კ. ძიძაძე

ზემოდგომა.

ცივმა ქარმა სტვირს ჩაჰბერა,
ათამაშდენ ხის ფოთლები...
მზეს შე'ცივდა მოდარაჯეს,
მოიხვია ბარს ღრუბლები...
მთამ ქოჩორი გადიპარსა,
მწვანე ქათიბს იხდის მდელო.
და ყვავილი ბულბულს უხმობს:
რად მშორდები საყვარელო!

შ. მოლაშვილი.

ლევან ბაცონიშვილი

(გაგრძელება. იხ თ. ც." № 42)

შეამბოხეებმა ფიცხლავე აუტეხეს რუსებს სროლა. სტალიც ეცა მათ. შეიქმნა სასტიკი ბრძოლა. იძლიენენ ოსები და კაიფანტენენ სოფლებში. სტალი მიჰყვა და ეველგან დაამარცხა შეამბოხენი, ბრძოლაში დაიდუბა მათი მოთავე დ. ტუსიშვილიც. ოსებმა ამ დღეს დაკარგეს 100 კაცი, დანარჩენნი შეეფარნენ ტყეებში.

მეორე ნახე�არი დაშქრისა ბოტლოგას მეთაურობით იმავე დრეს იბრძოლა ჯავის მხრიდამ. ლევანმა ხუთჯერ შეუკრა გზა, მაჯ-ამუქტეულ იქმნა. ბოლოს რუსთა დაშქრის რიგე ნახეარმა ლევანს ისე კაუბერა საქმე, რომ იგი ავიდა კავკასიონის ქედზე და იქიდან ჩავიდა ნარის ხეობაში. მის მდევნელ დაშქარს არ შეეძლო კადმოელასა დრმა თოვლით დაფენილი უმაღლესი მთები და უფსკრულები და მისულიეო ნარას. სტალმა ბარი იბრუნა, მაგრამ გზა-გზა, მტრის დასაშინებლად, ააფეოქა კოშკები, ტეტ-ხლით კადაბუკა სოფლები, აიკლო ქვეყანა ისე, რომ ქვა ქვაზე არ დასტოვა. რომ გადარჩენოდ უკანასკნელი თვისი სახლები, კამოუგზავნეს მამასახლისები და ხვეწნით ბატიება ითხოვეს. სტალმა კამოარჩია 12 მამასახლისი და კამოგზავნა ტფილისს. მათ ქალაქის საბაჟოდამ მოაკარმართებლის სახლამდე კაიარეს კისერზე ხმალ-დაკიდულებმა. ასეთი შენანება შეიწყნარა ტორმასოვმა და სტალს უბრძანა ჯავასა და სხლებში დაეტოვა ორი როტა და 20 ეაზახი და დანარჩენი დაშქარი კამოეყვანა ოსეთიდამ. ამასთანავე სტალმა დააფიცა ოსები, რომ ამიერიდგან ერთგულები იქნებიან რუსებისა და ლევანსაც შეიბერობენ და კადმოსტემენ.

მაგრამ მაშინ ნარა ლრმად მოფენილ იეო თოვლით და იქ ლევანი მიუკარებელი იეო რუსებისთვის.

ტორმასოვს ეკონა, თავდატეხილი ამბები და ცხოვრება დატკა ნარელებში იძულებულ ყოფენ ლევანს მოიქცესო, ამიტომ უბრძანა ლელეზოტს: წერილი კაუგზავნეო ლევან ბატონიშვილს ადთქმით, რომ თუ თავის ნებით დაგვენებდება, არავითარი უსიამოვნება არ მიეზღვება, ბირიქით, დაუსვდება უმაღლესი წყალობა. წერილი მიუტანა ლევანს ქურთაოის მამასახლისმა ბაბილა ჩალიკოვმა, მაგრამ ლევანმა იგი კამოისტუმრა სიტეეებით: „სირცხვილი შენც და ამ წერილის დამწერსაც". *)

ტორმასოვმა ახლა ლევანის მამას მისწერა: „გამოუგზავნე შვილს დასასვინდისებელი წერილი და ეგების შვილობრივმა გრძნობამ თქვენ-ლმი, ბუნებრივმა ხმამ და მის საკუთარ სინდისმა იმოქმედოს მასზე; გონიერებისა და შენანების გზაზე დააყენოს.

მაგრამ ლევანი ურეეველ იდგა თავის ნებით ერთხელ და ერჩეულ გზაზე და ნარის საზოგადოებაში ითმენდა უოველ გასაჭირს, ხელანკალულებას. ბოლკ. ეაზბეგმა სტნოარა, რომ ლევანის „მარხულობას შეადგენს მარტო ქერის პური", გაუგზავნა ძღვნად რამდენიმე თეეზი. ამით მას ხურდა გადმოეტეეიდებინა ლევანი თრუსოს სეობაში და აქ შეეპერო. მაგრამ ლევანმა, „თანახმად თვისის ორგულობისა რუსეთისადმი", ის თეეზები ზიზღით გადაეაარა ძალდებს. იუდონის წერილის გამო კი შემოსთვალა: „თუ შე მეგვარებოდა მამა და დედა, არ წამოვიდოდი ოსეთში, არამედ წინადვე შეეერთდებოდიო მათ".

ასევე უნაყოფო შეიქმნა ტორმასოვის მეცადინეობა გამოეტეეიდებინათ ლევანი ზოგერთ თავადების დახმარებით, მაგ. ზურაბ წერეთლისა, ანტონ და შანშე ერისთავებისა, რომელთაც ადუთქვეს მოავრობას, რომ შეიბერობენ ლევანს და გადასტემენ.

1811 წლ. გაზაფხულს მოსკოვიდამ მოვიდა იერემია ბაგრატიონი, იუდონის ნასვის შემდეგ. მან იკისრა ნარას წასვლა და ლევანის გადმობირება. მაგრამ რომ მივიდა, იგი შეიბერო ლევანმა, გაძარცვა, აწამა და რკინით შებორკილებული გაგზავნა გასასეიდად ყაბარდოს.

ბაგრატიონი შეისეიდეს ოსებმა და გასცვალეს თავიანთ მამასახლისზე, რომელიც შემწყვდეულ იეო კორის ციხეში ამბოხებისთვის.

დავით ბატონიშვილი (მასალ., 92): „მაშინ იჩემა ტორმასოვთანა შეხვანის ბატონი-

*) იქვე, გვ. 282.

შეიდმა ერმამ, რათა იგი წარეგზავნა ოსეთს და იგი შეეპყრობს დეონს მუნ. რომელსა ზედა თანხმობილ იქმნა ტორმასოვი და წარგზავნა მუნ. მისრულმა ერმა ნარს, სწადდა შეტეუოდითა შეპყრობა დეონისა, რათა მან წარწუმინდოს იგი. სცნა ესე დეონ, შეეპყრა იგი და დამბოლა თავის წარკვეთასა მისსა, ხოლო თსთა არ ინებეს სიკვდილი მისი, არამედ დასსნეგვინეს ორას თუმნად თეორ ფულად თავი და განუტევეს, რომელსაცა რუსთა არ რაომე მისცეს მას, არამედ თეორითა თვისითა დაიხსნა თავი თვისი და მიექცა სიცბილი თვისი თავსა ზედა თვისსა."

ნახეს—რა, რომ ნებით დამორჩილება დეონისა შეუძლებელია, შეეპყრეს ოსი გაჭრები მოსდოკის გზაზე და დაუდეს პირობად, თუ დეონს არ გადმოგვცეთ, ყველას კაკაციმბირებთო.

ამასობაში დეონი გადმოვიდა ზაყას, რომ ამბოხების გზაზე დაეუნის არაკვანსა და ქსნის ოსები, მაგრამ ვერას გახდა. ისევ დაბრუნდა ნარს. იქაურ მამასახლისთაგან ზოგიერთმა დეონის გაცემა მოინდომა. მოსალაპარაკებლად მათთან მთავრობამ გაგზავნა ათრიამ ენიოლოფოვი. დეონის გადმოცემისთვის: ამას უნდა მიეცა ჯილდოდ 1000 მანეთი ან—და, თუ იცოტავებდნენ, 2000. დეონი უნდა მოეყვანათ სხდებში და ფულიც აქ მიედოთ მის ფასად.

არც ამ მისიამ გაახარა დეონის მტრები. რომა მამასახლისმა იგი მოიყვანა რუსთა კამანდაშდე, მაგრამ დეონი სადღაც გადიმალა და კამანდას ხელში შერჩა მხოლოდ მისი ამალა ცხენებითურთ.

დეონმა იგრძნო, რომ მას ოსეთში ადარ ედგომიდებოდა და სამის ოსით გასწია ასადტიხისკენ. ხეობამდე (ბორჯომის უღელში) ვდო მშვიდობიანად და აქ კი შეეფეთა დეკეებს, რომელთაგან ერთმა ჩხუბის დროს ხანჯალით მოკლა ბატონიშვილი (1811 წელს დეკემბრის თვეში).

დეონის მოკვლის შესახებ ბატონიშვილი დავითი სწერს (მასალები საქართ. ისტორიისათვის. გვ. 97): „წელსა 1811. ვინაითგან ვეღარ დადგა დეონ ოსეთს შინა, წარმოვიდა ასადტიხეს მეფის სოდომონთანა. მიიწია რა ხეობას, ბეტრეს ციხეში მოკლეს დეკთა, მოამავალთა ქართლს ასადვიდოდ. სცნა რა თუშმან ასადტიხისამან შარიფ, მოაშთუნა დეკნი იგინი სრულიად. და გვამი დეონისა ადატანინა მეფემან სოდომონ და დაფლა აწეურს ეკლესიასა შინა, ხოლო დეკოსცა დადისტანსა შინა, მსმენელთა სიკვდილისათვის დეონისა ადწყვიტნეს სოფელსა მათ შინა მკვდელთა მათ სასჯელნიცა სრულიად".

ასრე დასრულდა სიტოცხლე ამ ანდამანტიანი მტკიცე ხასიათის ჯერ ისევ სიტოცხლით ადასავსე ჭაბუკ ქართველისა.

მ. ჯანაშვილი

ი ძ უ ლ ე ბ უ ლ ნ ი

გაგრძელება იხ. „თ. და ც." № 42

„და ეს წიგნი, წიგნი კანონებისა, რომელიც დაუწესე ყველა ჩემ შვილებს და იმათ კი მიივიწყეს, წაიღე თან და იარე ქვეყნიდან ქვეყანაში, ქალაქიდან ქალაქში, და შეასწავლე ყველა შენს ძმას ეს კანონები და შეასმინე მცნებანი ჩემნი. და იმ დღეს, რა დღეს აც აღარ მეყოლება მთელ დედამიწის ზურგზე ისეთი შვილი, რომელიც არ იცნობდეს ამ წიგნს და არ იცავდეს ყველა მაში იღწერილს,—აი, სწორედ იმ დღეს გეპატიება შენი დიდი ცოდვა, და მაშინ მ[illegible]ურბრუნდები შენს მშვენიერ საუნჯე ქვეყანას და იმეფებ მაზედა კვალინდებურად.

„და გინიდევნა ძე მეფისა თავისი საყვარელი ქვეყნიდან და წავიდა ტყვედ. მთელი თვისი სიმდიდრისა და დიდებისგან, რომელიც ჰქონდა თავის ქვეყანაში, არ შერჩენია არასფერი გარდა მცირე ტანისამოსისა ტანის დასაფარავად. აიღო თავისი ყავარჯენი ყავარჯენი ლტოლვილებისა, მარებზე [illegible] მოიკიდა გუდა, რომელშიაც ჩასდო ის წიგნი, მამამ რომ გადასცა ძმათა შესასწავლელად. და ამნაირად თავისი ყავარჯენით და გუდით გაუდგა შორეულ გზას. სახე მისი წარმოადგენდა ღარიბის, ლტოლვილის სახეს. მაგრამ ის არ ეცემოდა სულით. მას ეგონა, ძმებთან მივიდოდა თუ არა, და მთელ თავისთავ გადასავალს უამბობდა, მაშინვე შეიბრალებდენ, მიიწვევდენ სახლში, იზრუნავდენ მის ნაკლულევანებისათვის და კიდეც აღასრულე-

ბდენ ყველასფერს, რაც კი დასწერა მისმა მამამ თავის კანონების წიგნში, რათა პატივებოდა მას თავისი ცოდვა და ჩქარა დიბრუნებულიყო თავის საყვარელ ქვეყანაში.

„მაგრამ მისმა ძმებმა, როგორც აქამდე არ დაიცვეს თავიანთი მამის მცნება, რადგან გართულნი იყვენ სხვა და სხვა ზრუნვასა და ურთი-ერთთა ბრძოლაში, სრულიად მიივიწყეს თავიანთი მამა და შორეული ძმები. და როცა მივიდა ამათთან ამათი პატარა ძმა, ვერ იცნეს და სურდათ დაეჯერებინათ, თუ ის იმათი ძმა იყო. მაშინ დაუწყო ამ პატარა ძმამ ტუქსვა იმაზე, რომ მიეივიწყებინათ თავიანთი მამა და მის კანონები. დაუწყო სწავლება თავისი მამის მოძღვრებისა, მუდამ უქადაგებდა, რომ აღესრულებინათ ყველა რაც ეწერა იმ წიგნში, რომელიც მოეტანა თან, და შეებრალებინათ კიდეც: მიეცათ მისთვის თავშესაფარი ადგილი და დასასვენებელი რამდენიმე დღით, რათა შესძლებოდა კვალად განეგრძო თავისი გზა შემდეგში, მაგრამ ამათ ყველას გული მოსდიოდათ იმაზე, რადგან მოვლინებოდათ თავისი ტუქსა-დარიგებით; განრისხდენ მაზე, განსდევნეს ყველა თვითვეულმა თავისი ქვეყნიდამ და ზოგმა კიდეც სცემა შეუბრალებლად.

„მას აქეთია ილტვის და დაძრწის მეფის შვილი ქვეყნიდან ქვეყანაში, ქალაქიდან ქალაქში, საცა მიდის სტირის, ივედრება, რომ შეიბრალონ და მისცენ თავშესაფარი ადგილი, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევს და იძულებულია გაუდგეს სხვა გზას. დღე და ღამ დაძრწის და მთელი დედამიწის ზურგზე ვერ უპოვია ერთი მტკაველი დედამიწა დასასვენებლად.

„ხანდახან მოაგონდება თავისი წარსული დროის სიმდიდრე და დიდება; ის დრონი, როდესაც ცხოვრობდა თავის საყვარელ ქვეყანაში, მეფობდა მაზედ და იყო ლაღად და ბედნიერად—მოაგონდება, რომ გამოიდევნა იქიდან თავისი ცოდვით, და არ ძალუძს დაბრუნება იქ, სანამ არ შეასრულებს თავისი მამის ბრძანებას.

„მაშინ მიუბრუნდება თავის ძმებს, უწყებს დარიგებას და სწავლებას თავისი მამის მოძღვრებისას—მაგრამ მისი დარიგების მსმენელნი ურისხდებიან მას, სდევნიან თავიანთი ქვეყნიდან და ისიც ილტვის შორს, შორს.

„ხანდისხან, როცა მოიქანცება თავისი დაუსრულებელი გზის უბედურებით და ვაი-ვაგლახით, სიმშილით და ნაკლულევანებით, მიდის რომელიმე ძმასთან მოწყალების მოსათხოვად. როდესაც ეს ძმა კითხავს: „ვინა ხარ?“—მიუგებს: „ლტოლვილი, უბინაო ღარიბი ვარ, გეაჯ შემიბრალეო!“—და არ ეუბნება, თუ თქვენი ძმა ვარ, მეფის შვილი. მაგრამ მისი ძმანი, ბოროტნი და ცოდვილნი არიან, არ ებრალებათ ღარიბი და საცოდავი ადამიანი და თავიდან იშორებენ.

„ხანდასან მოხდება ხოლმე, რომელიმე ძმა შეიყვანს თავის სახლში, მისცემს ძნელსა და აუტანელ სამუშაოს, და იმ ძნელსა და აუტანელი შრომის ნაცვლად, მისცემს ნებას თავის ქვეყანაში ცხოვრებისას; მაგრამ, როცა დაინახავს, რომ გამდიდრდა მეფის შვილი, სტაცებს მაშინვე ფულს, სდევნის თავის ქვეყნიდან და კიდეცა სცემს.

„განვლეს ბევრმა წლებმა. მეფის შვილმა თავისი ბევრი უბედურებისა და მწუხარების გამო დაივიწყა, რომ ის მეფის შვილია და ეგონა, მართლა ერთი ვინმე უბრალო საცოდავი ღარიბი ვარო. უერთდება მათხოვრებს და მაწანწალებს, მათთან ერთად დაიარება ქალაქიდან ქალაქში, სოფლიდან სოფელში, იგუნგლება მტვერში იმათთან ერთად; და რაც პატივი და დიდება ჰქონდა წინედ, წარსულ დროს, აღარ აგონდება.

„მხოლოდ ხანდისხან გახსნის ხოლმე თავის წიგნს, წაიკითხავს, აგონდება თავისი შთამომავლობა, ხარისხი, აგონდება თავისი მამა, ძმენი, და უამბობს ყველა ამას თავის მათხოვარ ამხანაგებს,—მაგრამ ისინი ძალიან ურისხდებიან, რომ იმათზე მეტად თავი მოაქვს, უწყებენ ლანძღვა-გინებას, სდევნიან თავიანთი გუნდიდან და სასაცილოდ არ ყოფნით.

„მაშინ განაგრძობს ლტოლვას ქვეყნიდან ქვეყანაში, ქალაქიდან ქალაქში, და როდესაც მოიქანცება ძალზე თავისი დაუსრულებელი გზის ვაი-ვაგლახით და ყოველისფერი ნაკლულევანებით და აღარ შესწევს ძალი განგრძოს თავისი გზა—მაშინ იძულებულია დამალოს თვისი ვინაობა, ხარისხი და მოაჩვენოს

თავი, როგორც თავის ძმების ერთმა მონათაგანმა, და მხოლოდ მაშინ უშვებენ თავიანთ სახლში.

„მაგრამ, თუ გაუგეს რომ ტყუილად მოუგონია თავისი ძმის მონობა, ვაი იმისი ბრალი მაშინ: სცემენ შეუბრალე ბლად და სდევნიან ლანძღვა-გინებით.

„იმნაირად ილტვის ძე მეფისია, რომელიც წინედ ესოდენ მდიდარი, ესოდენ დიდი და ბედნიერი იყო, ქვეყნიდან ქვეყანაში, და ის არის მწირი. ღარიბი, საბრალო. უბედური, ცარიელი მოღალულ-მოქანცული თავისი დაუსრულებელი მგზავრობით და ურიცხვი უბედურობით და კი არავინ არის, რომ შეიბრალოს«.

(დონ-იმანუელი შეჩერდება ერთ წუთს და უყურებს ბავშვებს, რომელნიც სხედან ჩუმად და ნადგულიანად. იცვლის კიდოს). ეს არის ის მოთხრობა, რომელიც მსურდა მეამბნა თქვენთვის, ჩემო საყვარელო შვილებო. ახლა მითხარით, შვილებო, რას იქმოდით, თქვენთან რომ მოსულიყო ამნაირი მეფის შვილი და მეითხოვნა მოწყალება? მოიღებდით მოწყალებას, თუ თქვენც განსდევნიდით?

დიეგო. მე ძალიან, ძალიან შევიბრალებდი. მე მამას ვსთხოვდი, რომ ჩვენს სახლში ცხოვრების ნება მიეცა.

კლარა. მეც ძალიან შემებრალებოდა. ის ხომ ესოდენ საბრალოა, ესოდენ ღარიბი!

დონ-იმან მაშ კარგი, შვილებო! თქვენ კეთილი ყმარწვილები ხართ და ამიტომაც მიყვარხართ. მაგრამ ესეც უნდა იცოდეთ შვილებო, რომ ეს მოთხრობა, რომელიც ახლა გიამბეთ, ჩემი შეთხუზული არ არის და ის მეფის შვილი, რომელზედაც ახლა გიამბეთ, მართლა ცოცხალია და კვალად დაძრწის მთელი დედამწის ზურგზე.

დიეგო და კლარა. (ერთად). მერე ახლა სად არის?

დონ-იმან მალე მაგასაც გაიგებთ. მაგრამ უწინარეს ყოვლისა, უნდა იცოდეთ, ჩემო ძვირფასნო, რომ ის მეფის შვილი, არ არის ერთი, როგორც მე გიამბეთ, არამედ მრავალია, მთელი ერია.

დიეგო ერი?

ნ. ელიაშვილი—ბენ დავიდ

(გაგრძელება იქნება)

კარეთი

და მისი დღევანდელი მდგომარეობა

(მგზავრის შთაბეჭდილებანი)

თუ ინტელიგენტია ვერ დებულობს სათანადო ზომებს ადგილ-მამულის შესარჩენად, სამაგიეროდ თვით გლეხკაცობა საშინლად მოწყურებულია თავისუფალ ადგილების შეძენას მიწის სიმეტრობე უველაზე მეტად გლეხ-კაცობას აწვება, და ეი იგიც გულზე ხელებს არ იკრეფს და მიწების შეძენას შეეგა. ამ მხრით უველა კუთხის გლეხობას წინ გაუსწრეს შორეთნის და რაჭის მაზრის გლეხებმა, თავისი „ინიციატივით“ თითონვე გამონახეს თავისუფალი ადგილები ადგილზან გადმა კახეთში და დასახლება დაიწყეს. მთელი ლელიანის სასოგადოება, რომელიც 300 კომლამდე ადის, სულ რაჭველ იმერლებისაგან შესდგება. ირიან აგრედვე ოსებიც. მართალია მოსულთ მრავალი დაბრკოლება გადალობებია წინ, მაგალითად ზოგიერთ ადგილს, ერთხელ გაუიდული მამულები მეორეთ უიდნიათ, და ასე ამ გვარად ზოგიერთ ბირს იმერეთში რომ სატხოვრებელი გაუიდნია, აქაც მოტეუებულა, უფუფლო და უმიწაწყლოთ ეარიდან და ისევ უკანვე დაბრუნებულან; ზოგიერთნიც ჩარჩების ხელშა ჩატეგნილან და ულმრიოთ გატეგებულან, მაგალითად თუ მიწა დირებულა „ლესეტინა“ 5—6 თუმანი, კაუმაძარ შეამვალ-ჩარჩებს ათი თუმანი აუღია; მაგრამ, ასე თუ ისე, გლეხებს ეოველივე გასაგირი გადუტანია, ტეეები გაუკეთეთ, მშვენიერ სოფელ ებად გადაუქცევია და დასახლებულან. რაც შეეხება დასახლების ბანს, ეს ისე სასიამოვნოთ და დამაზათა მოწყობილი ლელიანის სასოგადოებაში, რომ კაცი უკვეს ვერას დაინახავს: გზების სიგანიერე 30 ადგილამდეა, ამასთანავე ისე სწორი და დამაზი, რომ თვალი ვერ მოგიშორებია ამ გზების დაგეგმაში, როგორც გადმოცეს, დიდი შრომა მიუძღვის ადგილობრივ მომრიგებელ-შუამავალს. ჩასახლებულნი ბელნიერად სთვლიან თავს და ბოტავენ იმ სათს, რომ ისინი იმერეთ-რაჭიდან წამოვიდნენ. ბევრი ისეთი გლეხი, რომელსაც რაჭაში 4 თვის სარჩო არ მოსდიოდა, ქონებრივად წინ წაწეულა, და ასე გასინჯეთ ზედმეტ ნამუშევარში ადებული ფული შემნახველ კასებშიც კი შეუტანიათ.

ამ ახალშენებს არა აქვთ არც სასწავლებელი, არც საშკოთხვედო და არც „კოოპერატივი“, არის მხოლოდ სასოფლო ბანკი. მეტათ უჩივიან აგრედგე ადასანზე უხიდობას, რაც მეტად ეფერხებს მოსავლის ეიდვა გაყიდვას.

რადგანაც ეს ახალ დასახლებული ადგილები დატეშული ვაკეებია, წვიმის დროს თურმე წყალი გუბდება, შემდეგ საშინელი სიცხისა გამო შმორება, ეროდდება და საშინელ თვისების ავადოოობას აჩენს. ამ მოვლენას, ჩვენის აზრით, სრულიად ადგილი ადარ ექნება, თუ „ახალშენელები“ არსებს ამოიდებენ და ადაზანს შეურთავენ (მართალია ეს უამრავ შრომას ითხოვს, მაგრამ საშაგიერო ნიადაგი გაშრება, და მცხოვრებთა ჯანმრთელობის საქმე საესურვედ დონეზე დადგება). ერთისა და ორისთვის ასეთი შრომა თითქმის შეუძლებელია, მაგრამ ათისა და ოცისათვის ადვილი დასაძლევი.

სწორეთ ამიტომ, თუ გადმოსახლებულთ სურთ ამ ადგილებზე ფეხი მოიმაგრონ, ნიადაგის გაშრობას უთუოდ უნდა შეეცადნონ. ჩვენის აზრით ასეთ არხების გაყვანაში მათ თბილისის საადგილ-მამულო კომისიაც დაეხმარება, ოდონდ საჭირო თვით მცხოვრებლებმა ეს საქმე აძრახონ და ითავონ.

ჯაფარ რაჭველი

ხალხურ კილოზე.

(თ. დ. ი. ც. ს.)

მოყვრულად შემოპარულმა
ჭერი თავს დამაქციაო:
ამინიავა მამული,
და პირი შამაქციაო!

წამართო სახლი და კარი
ზედ თავზე ჩამოქცეული,
მკვიდრი ოჯახის მემკვიდრე
დავდივარ როგორც ეული.

მე ვგლოვობ, იგი ხარხარებს
ვითარც სატანა წყეული,
სურს რომ საშუალმიდ მიმონოს
სილაღ სიამეს ჩვეული...

იაკო ტუტუნაშვილი



ბ. ბ. ჯ. ოვში კვირას, დეკემბერის 9 ქ. შ. წ. კ. ბ. ს ბის ადგილობრივ განყოფილებასთან არსებულ სცენის მოყვარეთა წრის მიერ მსახიობთა ქ. ქალაქ ჯიშვილისა და ს. ყიციძის მონაწილეობით, ამავ განყოფილების სასარგებლოდ წარმოადგინეს ისტ. დრ. „სამშობლო“. სალხი საშუალოდ დაესწრო. ბიესის დადგმისა და შესრულების შესახებ არას ვიტყვიო. ხოლო არ შეგვიძლიან ჩვენი გულის წყრომა და საყვედური არ კამოგუცხადოთ ამ წარმოდგენაზე დამსწრეთა ერთ ნაწილს თვისი არა ხაკადრისი და უმგვანო საქციელისათვის, რომელიც გამოჩინა ამ საღამოს. ადმაშფოთებელი იყო საზოგადოების კარდა) საშინლად გაურბის მუშაობას და გადოების დაუსრულებელი სიცილ-ხარხარი, ხმამაღალ გამბული საუბარი, გაუთავებელი ბურ-ზაური ბიესის მსვლელობის დროს; თითქო თეატრში კი არა, უწესოების დიდზე მოსულან და ერთმანეთს ეჯიბრებიან, ბაბა რომელი რომელს ჯობებთო. ასეთი უწესრიგობა წარმოდგენების დროს თვით მეურეებულ სოფელსაც კი აშორებს დმერთმა! ძალიერ გვაკვირვებს ეს მოვლენა და გვაიძულებს ვიფიქროთ, რომ ამ საზოგადოებას ჯერ კიდევ ვერ შეუგნია ის, რომ თეატრი ეს ერთგვარი ადმზრდელი სკოლაა, წმინდა ტაძარი სელოვნებისა და სარკე ჩვენი დუხჭირი ცხოვრებისა, რომელიც მოითხოვს დიდ ბატივისცემას, წმინდა სეყვარულს და უსაზღვრო უურადღებას. დრო არის, ბატონოებო, შევიგნოთ ეს და მომავალში მაინც ბოდო მოუდოთ ასეთ უმგზავსო მოვლენებს წარმოდგენებზე.

ერთ და უმთავრეს მიზეზათ ასეთ უწესოებისა უნდა ჩაითვალოს უმექმედობა ქ. შ. წ. კ. ბ. ს. ადგილობრივ განყოფილების გამგეობისა, რომელიც სათავეში უდგია სცენის მოყვარეთა წრეს. თუმცა სცენის მოყვარენი მეტის ეურადღებითა და სიყვარულით ეკიდებიან სცენას, ძალიერ მონდომებულნი არიან რომ წარმოდგენები

ხშირად გამართონ, მაგრამ „გამგეობა“ (ორი წარმოდგენების მართვის (ამის მიზეზი უნდა იყოს, რომ ვერც „განუოფილების“ სამკითხველოს ს

თავს 23 წარმ., თითოს საშუალოდ დასწრებია 200-დე მაყურებელი, თითო წარმოდგენაზე დარჩენია 14 მ. ჰყოლია 110 წევრი. გამგეობას სეზონობიდან დარჩენია 53 მ., ქ. ლაქის სამრთველოსგან მიუღია—100 მ., ხარჯების გარდა წმინდა მოგება დარჩენია—67 მ. 94 ანგარიში კრებამ მიიღო. დაადგინა: ა) რეჟისორს თითო წარმოდგენაზე მიეცეს 10 მ., ბ) ქალაქის გამგეობას ეთხოვოს—300 მ., ვ) შემუშავდეს მუშა ხალხისთვის შესაფერი რეპერტუარი (გაწელილ სეზონის რეპერტუარი დაიწუნეს). ამოირჩიეს გამგეობა: ქართველიშვილი დავ. კუდრიავცევი ალ. ვასილენკო, წეროძე, არ. ჩხილვაძე, ილ. რიკაძე ალ. და ქუთათელაძე კ. კანდიდატებად: მაღრაძე, მ. მლადიშევი და კეკელი, შვილი, კ. სარეკიზიო კომისიაში: კარჩაგინი, გობელია ი. და ტორიკაშვილი ი. კანდიდატებად: კეკლიშვი ერ. და ღუდშაური.

— ᲨᲣᲠ, „ᲗᲐᲢᲠᲘ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ“ ფონდის გასაძლიერებლად შემოსწირეს 1) კ. თაყიშვილმა—5 მ., ანდრონე ჯოლოგუამ—5 მ.

— ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ კვირას სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილ იქმნა „მელანიას ოინები“ პიესა კარგად იქმნა შესრულებული. განსაკუთრებით ირჩეოდნენ; ქ. ციმაკურიძე, მჭედლიშვილი, და ბ. ნ. გოცირიძე, დანარჩენებიც ანსაბლს ხელს უწყობდნენ.

— ნაძალადევის თეატრში დღეს ვ. გამყრელიძის რეჟისორობით სეზონს იწყებენ. წარმოდგენილ იქნება ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი“, 1-3 მოქმ. და ა. ცაგარლის „მათიკო“, მე-3-ე მოქ.

— საბურთალოს თეატრი ახალ შენობაში გადადის. დარბაზი უფრო ფართეა. სცენის გადაკეთებაში ეხმარება ხუროთმოძღვარი ს. კლდიაშვილი. სეზონს დაიწყებენ მომავალ კვირას დ. ერისთავის „სამშობლო“-თი.

— ი. გოგებაშვილის ღილა ქარხ. კულტ. მოყვ. საზ-ის თაოსნობით ს. გლახაშვილის ხელმძღვანელობით სახალხო სახლში გაიმართება ღვინობ. 31.

— ქართველ მოღვაწეთა აგარაკისთვის უკვე რვა ათას მანეთამდეა მოგროვილი.

— შეცდომის გასწორება. 1) გასულ კვირის ნომერში სურამის დრამ. საზ. თავმჯდომარე მ. იონათაშვილი შეცდომით ცხინვალისად იყო მოხსენებული 2) სილოვანის ლექსში („თეატრი და ცხ“ № 40) შემდეგი შეცდომა იყო: თან დაყვება, ᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲡ,—უნდა იყოს ᲨᲔᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲡ.

— სახაზინო თეატრის გუნდმა ოპერის გამგეს ბნელოხიშვილს ჯამაგირზე 30 % მომატება მოსთხოვა.

ᲡᲝᲛᲔᲗᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ

— ᲢᲘᲒᲠᲐᲜ ᲜᲐᲖᲐᲠᲘᲐᲜᲘᲡ სალონში გასულ პარასკევს, ღვინობისთვის 14 თუმცა ქართული თეატრისა და მწერლობის შესახებ უნდა გაემართულიყო საუბარი. მაგრამ კრების თავმჯომარე ბ-მა არქელიანი პირელი სიტყვითვე შეეხო სომეხ-ქართველთა ურთიერთობას, რასაც მთელი საღამო მოუნდა. ბოლოს ერთი სომხის ბანოვანმა მშვენიერი სიტყვა წარმოთქვა—ურთიერთის მწერლობა ხელოვნების შესწავლა გაცნობის შესახებ: მე რომ ვკითხულობ დიდებულ შოთას ნაწყვეტებს და ნ. ბარათაშვილის ლექსებს (ნათარგმს), იმდენად ვიხიბლები, რო მზად ვარ მთელი მისი წარმოშობელი ქართველი ერი გულს ჩავიხუტო... რადგან ამ საღამოსთვის არვის ჰქონდა შესაფერი მოხსენება, კრებამ სასურველად სცნო შემდეგი პარასკევი საგნგებოდ მიუძღვნას ქართული თეატრის, დრამატურგიისა (უკანასკნელი ათი წლისა) და ლიტერატურის შესახებ საუბარს. კრებას საკმაო საზოგადოება დაესწრო სომეხთა და რუსთა. ქართველთაგან იყვნენ "სახ. ფურ." მხრით გრ. რეხილაძე და ა. ჭუჭბაძე, „თეატრი და ცხოვრების“—ისოსეტ იმედაშვილი. საუბარი იყო სომხურად, ქართულად და რუსულად. სასურველია ასეთი კრებები ხშირად იმართებოდეს.

— ᲡᲝᲛᲔᲮᲗᲐ ᲛᲔᲚᲞᲝᲛᲔᲜᲔᲡ წელს თბილისში ორი დასი ჰყავს. ერთი სომეხ. დრამ. საზ-სა (სირანუშის, სევუნიანის, ფაფაზიანის და სხ. მონაწ), მეორე ამხანაგობა გურგენ აბელიანის, ზარიფიანის,, ალისანიანის ქ-ნ მაისურიანის და სხ. მონაწ. კვირაში ორ წარმოდგენას მართავენ—არტისტ. თეატრში ორშაბათობით და ხუთშაბათობით. სეზონი დაიწყეს ღვინობისთვის 3—„პეპო“-თი. რეპერტუარი კლასიკური და თანამ. დროვეა.

— ახალი პიესა სალმანისა (ათანასიანისა) „წყალვარდნილა“ გადაშენებულ პეპატონეთ ცხოვრებიდან წარმოდგენილი იქნება ღვინობისთვის 27.

კ ნ ერატორიის პროგრ. ვამზადებ **სპრიპკაზე ილ. ოქუჩხულიძ**ისა
მართი წერ ლით: Орховскій пер. д. 7

ᲐᲮᲐᲚᲘᲙᲚᲣᲑᲘ 1 ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲒ 23 – 30 ღვინ.

ᲙᲕᲘᲠᲐ — რუსული წარმოდგენა. ბილეთ 50-30 კ.

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ — ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-50 კ.

ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ — სიმფონიური კონცერტი.

ᲝᲗᲮᲨᲐᲑ. — სინემატოგრაფი.

ᲮᲣᲗᲨᲐᲑ. — ქართ. წარმ. ბილეთები 50-30 კაპ.

ᲞᲐᲠᲐᲡᲙ. — ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-30 კ-დე.

ᲨᲐᲑ. — სიმფონიური ორკესტრი კონცერტი მ. ა. ვოლფი-იზრაელის ხელმძღვან.

ᲙᲕᲘᲠᲐ — რუსულ წარმო. ბილეთ. 5.30 კ.

ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ: კონცერტებისა საღამ. 9 საათ.. წარმოდგენისა და სინემატოგრ. საღ. 8½ საათ.

ᲨᲔᲡᲐᲡᲕᲚᲔᲚᲘ ფასი მანდილოსნები 50-კ, მამაკაცნი—1-მან.

რედაქტორ-გამომცემელი **ᲐᲜᲜᲐ ᲘᲛᲔᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ**

Дозволено Военной Цензурой **ᲡᲢᲐᲛᲑᲐ „ᲡᲝᲠᲐᲞᲐᲜᲘ“**